ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 47/2019

ქ. თბილისი 2 დეკემბერი 2019 წ.

<u>**შემსყიდველი**</u> –საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო, მისი თავმჯდომარის ელდარ შენგელაიას სახით
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №8 – პარლამენტის სასახლე
ფაქტიური მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ.4
საბანკო რეკვიზიტები: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი.
საიდენტიფიკაციო კოდი: 204 555 702
მიმწოდებელი: შპს „საგა იმპექსი“
მისამართი: ბელიაშვილის ქ. 145
ხელმომწერი: დირექტორი ლელა კალანდია
საბანკო რეკვიზიტები: BAGAGE22, GE41BG0000000181314800

საიდენტიფიკაციო კოდი: 205 185 235

ერთი მხრივ - **შემსყიდველი**, და მეორე მხრივ - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

’სახელმწიფო შესყიდვების შესახებ’’ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს’ ’’ ქვეპუნქტის შესაბამისად საქართველოს პარლამენტთან არსებული ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო აფორმებს ხელშეკრულებას ცენტრალური გათბობის შეკეთების (CPV 50720000) შესყიდვის მიზნით (დანართის შესაბამისად).

2. მხარეთა მოვალეობები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს: საქონელი 5 კალენდარული დღის განმავლობაში.

2.2 მიმწოდებელი ვალდებულია საქონლის მიწოდება უზრუნველყოს თანმხლები ფინანსური დოკუმენტაციით.

2.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღირებულება განსაზღვრული წესების შესაბამისად.

3. ხელშეკრულების ფასი

3.1 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადების ჩათვლით შეადგენს: 90 (ოთხმოცდაათი) ლარს (დანართის შესაბამისად);

3.2 ერთეულის ფასი განსაზღვრულია დანართით.

4. მიწოდების წესი

4.1 საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

4.2 შემსყიდველი უფლებამოსილია უარი განაცხადოს უხარისხო (წუნდებული) საქონლის მიღებაზე.
4.3 საქონლის გადაცემა დასტურდება სასაქონლო ზედნადებით ან ანგარიშფაქტურით.
4.4 შემსყიდველის მხრიდან სასაქონლო ზედნადებზე ხელმოწერის უფლება ენიჭება საბჭოს უფლებამოსილ წარმომადგენელს.

5. ანგარიშსწორების წესი

5.1 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება საქონლის მიწოდებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.
5.2 ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო.
5.3 ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი.
5.4 გადაცემის თარიღად ითვლება სასაქონლო ზედდებულზე ხელმოწერის თარიღი.

6 მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 მხარეები ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმდებიან ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2 %-ის ოდენობით.
6.2 მხარეები ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმდებიან საურავით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.2 %-ის ოდენობით.

7. ფორს-მაჟორი

7.2 ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისთვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომელსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
7.3 ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

8. სხვა პირობები

8.1 ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრამდე.
8.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ თანაბარ იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ორი ეგზემპლარი შემსყიდველს).
8.3 მხარეთა შორის სადაო საკითხები წყდება მხარეთა მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს განიხილავს სასამართლო.
8.4 ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.
8.5 ორივე მხარე უფლებამოსილია მოშალოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავის ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას ან სხვა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში.
8.6 ხელშეკრულების საერთო პირობები მიიღება "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულებით.
8.7 ამ ხელშეკრულების პირობებს და საერთო პირობებს შორის ურთიერთ შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ამ ხელშეკრულების პირობების შესაბამის მუხლებს.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან ხელშეკრულების პირობებს და ყოველივე ზემოთქმულის დასტურად გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

შემსყიდველი **საქართველოს პარლამენტთან არსებული** **ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო**	**მიმწოდებელი**
საბჭოს თავმჯდომარე	**შპს „საგა იმპექსი"**
ელდარ შენგელაია	**დირექტორი**
State Council of Heraldry at the Parliament of Georgia Digitally signed by State Council of Heraldry at the Parliament of Georgia Date: 2019.12.02 14:17:11 +04'00'	**ლელა კალანდია**
	Saga Impex LLC Digitally signed by Saga Impex LLC DN: cn=Saga Impex LLC, 2.5.4.97=NTRGE-205185235, o=[illegible], c=GE Date: 2019.12.02 13:39:04 +04'00'